თემატური ჯგუფი - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა ანგარიში

2012 წელი

აპრილი - ოქტომბერი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1. აქტივობის დასახელება

თემატური ჯგუფის (პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა) საქმიანობა

2. პერიოდი/თარიღი

2012 წელი, აპრილი - ოქტომბერი

3. ჯგუფის ხელმძღვანელი/ფასილიტატორი დაწესებულება/

მარინა ჟვანია/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

4. მაკოორდინირებელი ორგანოები

ეროვნული პროფესიული საბჭო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

5. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეები

დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები, დონორი ორგანიზაციები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

6. აქტივობის მიზანი

თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებითა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან მისი საქმიანობის კოორდინაციით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება/დახვეწას, დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, დამტკიცებასა და შემდგომ სრულყოფას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, VET SPSP პროგრამის განხორციელების მონიტორინგს.

7. აქტივობის შედეგი/შედეგები

თემატური ჯგუფი პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა შექმნილია ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში.საანგარიშო პერიოდის (2012 წლის აპრილი-ოქტომბერი) თემატური ჯგუფის აქტივობის შედეგად იქნა მიღწეული ქვემოთ ჩამოთვლილი შედეგები:

- მომზადდა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012 წლის 20 აპრილს (მინისტრის ბრძანება №84/ნ) დაამტკიცა ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში;
- მომზადდა და პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის თემატური ჯგუფის თანხმობით 2012 წლის ივნისში დამტკიცდა 31 ახალი და კორექტირებული პროფესიული სტანდარტი;
- მიმდინარეობს დამტკიცებული პროფესიული სტანდარტების სრულყოფა/დახვეწა;
- მიმდინარეობს პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზის შევსება;
- თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მიმართულებით;
- მომზადდა და თემატურ ჯგუფს განსახილველად წარედგინა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შესატანი ახალი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაერთო ETF-ის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ პროექტში "პროფესიული განათლების პროგრამების (სტანდარტები და კურიკულუმი) განვითარების მხარდაჭერა საქართველოში";
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაერთო პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** - განხორციელებაში;
- სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების მიზნით შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით მომზადდა, განხილულ იქნა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდა საინფორმაციო ბუკლეტი;
- მომზადდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ რეკომენდაციების სამუშაო ვერსია საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;
- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩატარებული ტრენინგის ანგარიში;
- განხილულ იქნა ევროპის ტრენინგის ფონდის (ETF) პროექტის – "საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება" - შედეგები.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. *მონაწილეები*

ჯგუფში 21 წევრია (დანართი - თემატური ჯგუფის განახლებული შემადგენლობა).

2. *აქტივობის ფასილიტატორები/კოორდინატორები*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი/ეროვნული პროფესიული საბჭო.

3. *აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა*

პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომიტეტები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2012 წლის აპრილ-ოქტომბერის პერიოდში ჩატარდა თემატური ჯგუფის - პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა 8 (აქედან 3 გაერთიანებული) სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობები, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში შესატანი ახალი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;
- დასამტკიცებელი პროფესიული სტანდარტების (31 ახალი და კორექტირებული სტანდარტი) პროექტები;
- ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" შედეგები;
- პროექტის -**„პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება"** - ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩო;
- პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა"** - ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონიძიებების შესახებ ინფორმაცია;
- პროფესიულ განათლებაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაინტერესებული პირებისათვის (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირები, ასოციაციები, სტუდენტები, მასწავლებლები) სამიტის ორგანიზება;
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ რეკომენდაციების სამუშაო ვერსია საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩატარებული ტრენინგის ანგარიში;

ხორციელდებოდა თემატური ჯგუფის მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განსახილველად. კერძოდ, საბჭოს განსახილველად წარედგინა შემდეგი საკითხები/დოკუმენტები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობები, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში შესატანი ახალი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი;
- პროექტის -„**პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** - ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩო.

პროფესიული კვალიფიკაციებისა და პროფესიული სტანდარტების განხილვები მიმდინარეობდა დარგობრივი კომიტეტების სხდომებზე. არსებობს ამ სტანდარტების დარგობრივ კომიტეტებთან/თემატურ სამუშაო ჯგუფებთან განხილვის ოქმები.
2012 წელს დამტკიცდა 31 ახალი და კორექტირებული სტანდარტი. დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები განთავსებულია პროფესიული სტანდარტების მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
2012 წლის ივლისიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაერთო ევროპის ტრენინგის ფონდისა (ETF) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ პროექტში ”პროფესიული განათლების პროგრამების (სტანდარტები და კურიკულუმი) განვითარების მხარდაჭერა საქართველოში”, რომლის ფარგლებში მოხდება 3 დარგობრივი სფეროს პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი

თემატური ჯგუფის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავება და მისი დახვეწა/შევსება, ასევე პროფესიული სტანდარტების შედგენა, დამტკიცება და მათი შემდგომი სრულყოფა. ჯგუფის უშუალო კოორდინაციით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და მომხმარებლების პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას. ეროვნულ პროფესიულ საბჭოს სისტემატურად მიეწოდება თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები. ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული ცალკეული პროექტების ფარგლებში, ექსპერტებისა თუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტის განხილვებში. როგორიცაა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოსამზადებელი სახელმძღვანელო პრინციპები/გზამკვლევი/ტექნიკური გაიდლაინი; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შეფასება; დოკუმენტების საბოლოო ვერსიები მოწონებული იყო თემატური სამუშაო ჯგუფების სხდომებზე.

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

თემატური ჯგუფის წარმატებულ მუშაობას ხელი შეუწყო ჯგუფის წევრების აქტივობამ და განსახილველი საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან სწორმა კოორდინაციამ. მიუხედავად იმისა, რომ თემატური ჯგუფების შემადგენლობა რამდენჯერმე განახლდა, ჯერ კიდევ დაბალია თემატური ჯგუფის სხდომებზე დამსაქმებელთა სექტორის წარმომადგენლების დასწრება/აქტივობა.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

თემატური ჯგუფის საქმიანობის შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს. თემატური ჯგუფის მუშაობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდის, მაქსიმალური აქტივობისა და მათი მხრიდან საკითხების ინიცირების მიზნით დაიგეგმა დაინტერესებულ პირთა გაფართოებული სამუშაო შეხვედრა/სამიტი. ასევე ინიცირებულიაეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობები, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში შესატანი ახალი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

დანართები:

1. თემატური ჯგუფის წევრთა სია

დანართი

თემატური ჯგუფის წევრთა სია

2012 წლის ივლისი

№№	სახელი, გვარი	დაწესებულება	თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი
1.	მარინა ჟვანია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი, თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41
2.	ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49
3.	ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43
4.	ნინო ტალიაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	n.taliashvili@eqe.ge 577 27 88 36
5.	ნანი დალაქიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77
6.	ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	lali_gtu@gtu.ge 599 70 44 99
7.	ლელა წიფურია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი	lelatsiphuria@yahoo.com 599 65 49 80
8.	მათე ტაკიძე	თბილისის პროფესიული კოლეჯი "სპექტრი"	დირექტორი	takidze@rambler.ru 577768866
9.	ლალი ებანოიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების	lebanoidze@mes.gov.ge 577119984

		სამინისტრო	დეპარტამენტის უფროსი	
10.	დიმიტრი მოლაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	dmolashvili@gmail.com 577797950
11.	თამარ სამხარაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	t_samkharadze@mes.gov.ge 577 17 55 79
12.	მიხეილ კორძახია	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია	დირექტორი	mishakordzakhia@yahoo.com 599181825
13.	სალომე კვირიკაძე	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	მომსახურების ოფიცერი	245 75 68
14.	ლაშა ბლიაძე	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება	ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე	lashaoffice@yahoo.com 598177788
15.	ნინო ძოწენიძე	საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი	აღმასრულებელი საბჭოს წევრი	n_dzotso@yahoo.com 577 41 85 09
16.	რევაზ საყვარელიძე	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში	პროფესიული პროგრამების კოორდინატორი	revaz_sakvarelidze@yahoo.com 599 55 40 58
17.	კახა ჭელიძე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	Kakha65@yahoo.com 577 445 540
18.	დავით აბულაძე	საქართველოს არქიტექტორთა კავშირი	თავმჯდომარე	devidabuladze@yahoo.com 59950 09 48
19.	მარიკა გოდაბრელიძე	შპს "საქართველოს რკინიგზა"	ადამიანური რესურსების შერჩევისა და განვითარების განყოფილების უფროსი	mgodabrelidze@railway.ge *5 91 19 10 05*
20.	კახაბერ ერაძე	საგანმანათლებლო დაწესებულება "SBA"	დირექტორი	kakha_ae@yahoo.com 595 45 82 88
21.	მაია დანელია	პროფესიული კოლეჯი "მერმისი"	მიმართულების კოორდინატორი	Mdanelia01@yahoo.com 577 507737